

შეტყობინება მეხუთე

იმის საიდუმლო, თუ როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანული ცხოვრებით, რათა ვიყოთ გამარჯვებული, – ვიაროთ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის ჭამის და ასეთი ქრისტეთი ტკობის გზით

ადგილები წერილიდან: დაბ. 2:9, გამოცხ. 2:7; იოანე 6:57, 63; იერ. 15:16; ფსალ. 119:15; ეზეკ. 3:1-4

- I. იმის საიდუმლო, თუ როგორ ვიცხოვროთ ქრისტიანული ცხოვრებით, რათა ვიყოთ გამარჯვებული, არის ის, რომ ვიაროთ ქრისტეს როგორც სიცოცხლის ხის ჭამის და ასეთი ქრისტეთი ტკობის გზით; ღმერთს არ უნდა, რომ ჩვენ ვაკეთოთ რაღაც მისთვის; მისი ერთადერთი სურვილია – მოგვცეს ჩვენ თავისი თავი როგორც საკვები ჩვენი ტკობისათვის; მხოლოდ ისინი, ვინც დადიან ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით ტკობის გზით, იხილავენ, რომ მათი სიცოცხლე და სამუშაო დარჩება ახალ იერუსალიმში – დაბ. 2:9; გამოცხ. 2:7.
- II. ჩვენ შეგვიძლია ვჭამოთ უფალი იესო როგორც ჩვენი სულიერი საკვები ჩვენი ტკობისათვის, მივიღოთ ის როგორც სული, რომელიც აცოცხლებს, იმის წყალობით, რომ ჩვენ ვჭამთ მისი სულისა და სიცოცხლის სიტყვებს ყოველგვარი ღოცვით და მის სიტყვებზე მსჯელობის მეშვეობით – იოანე 6:57, 63; იერ. 15:16 და შენ; ეფეს. 6:17-18; ფსალ. 119:15 და შენ; მათე. 4:4; ფსალ. 119:103:
- ა. როდესაც ჩვენ ვჭამთ უფალ იესოს, ვჭამთ მისი სულისა და სიცოცხლის სიტყვებს, ჩვენ ვცხოვრობთ მისი წყალობით (იოანე 6:57, 63); ჩვენ ვცხოვრობთ არა ქრისტეთი, არამედ ქრისტეს როგორც ჩვენთვის ენერჯის მომნიჭებელი ელემენტის და ჩვენთვის შეწევნის მომტანი ფაქტორის მეშვეობით; ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეს მის აღდგომაში, და ჩვენ ვცხოვრობთ ქრისტეს, რადგან ვჭამთ მას (გალ. 2:20; ფილიპ. 1:19-21ა).
- ბ. მასთან ერთად, რაც ჩვენ ვჭამთ უფალ იესოს, მისი სიტყვების ჭამის მეშვეობით, ჩვენთვის აუცილებელია სათანადო სულიერი გადამუშავება – იერ. 3:1-4; იერ. 15:16; გამოცხ. 10:9-10:
1. თუ ჩვენ გვექნება კარგი მონელება, მაშინ საკვები ადვილად გაერცელდება, შეაღწევს ჩვენი შინაგანი არსების თითოეულ ნაწილში; ჭამის მეშვეობით ჩვენში ხდება მონელება, მონელების მეშვეობით – შეთვისება, ხოლო შეთვისების მეშვეობით ჩვენ ვღებულობთ ჩვენს არსებაში პრაქტიკულ კვებას ქრისტეს სიმდიდრით – ეფეს. 3:8, 16-17ა.
 2. მოუნებლობა აღნიშნავს, რომ უფალს როგორც სულიერ საკვებს არ შეუძლია შემოაღწიოს ჩვენს შინაგან ნაწილებში; როდესაც საკვებს არ შეუძლია თავისუფლად გაიაროს ჩვენს შინაგან ნაწილებში, ჩვენ ვერ ვინელებთ საკვებს – ებრ. 3:12, 15; 4:2.
 3. ჩვენ უნდა შევინახოთ მთელი ჩვენი არსება ჩვენს ყველა შინაგან ნაწილთან ერთად გახსნილი უფლისათვის, რათა სულიერი საკვები თავისუფლად გადიოდეს ჩვენში; თუ ჩვენ ამას გავაკეთებთ, ჩვენ გვექნება საკვების ნამდვილი მონელება და შეთვისება, ჩვენ შევიწოვთ

ქრისტეს როგორც სულიერ საკვებს და ქრისტე გახდება ჩვენი შემადგენელი ელემენტი ღმერთის გამოხატულებისათვის – ეფეს. 3:16-17ა; კოლ. 3:4, 10-11.

III. ჩვენ შეგვიძლია შევჭამოთ ღმერთი იმის მეშვეობით, რომ ჩვენ ვასრულებთ მამის ნებას, ვაკმაყოფილებთ მშვიერებს და მწყურვალებს, და იმის მეშვეობით, რომ განვადიდებთ მამას დედამიწაზე, ვცხოვრობთ ღმერთკაცის სიცოცხლით გამზადებული სამერთიანი ღმერთის დიდებისათვის – მათე. 24:45-47; ფილიპ. 1:19-21ა:

- ა. „მე მაქვს საჭმელი, რომელიც თქვენ არ იცით... ჩემი საჭმელია – ვქმნა მომავლინებლის ნება და დავასრულო მისი საქმე“ – იოანე 4:32, 34.
- ბ. „მე განვადიდე შენ დედამიწაზე, დავასრულე საქმე, რომელიც შენ მომეცი“ (იოანე 17:4); ღმერთის განდიდება ნიშნავს გამოვხატოთ ღმერთი ყველაფერში (მდრ. კოლ. 1:9-11).
- გ. თავის ადამიანურ ცხოვრებაში უფალი ჭამდა კარაქს (ყველაზე მდიდარ მადლს) და თაფლს (ყველაზე ტკბილ სიყვარულს), რომლებიც აძლევდნენ მას ძალას, რომ ყოველთვის ამოერჩია მამის ნება – ესაია 7:14-15 (ბიბლიის ამერიკული სტანდარტული თარგმანი“, 1901 წ.).
- დ. ჩვენ ვართ ისინი, ვინც სწავლობს ქრისტეს თანახმად იმისა, თუ როგორია „სინამდვილე იესოში“; *სინამდვილე არის იესოში* მიუთითებს უფალ იესოს სიცოცხლის ნამდვილ მდგომარეობაზე როგორც ეს აღწერილია ოთხ სახეობაში, სიცოცხლე, რომელშიც მან განადიდა მამა დედამიწაზე, რათა დაედგინა ნიშუში თავისი მორწმუნებისათვის – ეფეს. 4:20-21:
 - 1. იესო ცხოვრობდა ცხოვრებით, რომელშიც ის აკეთებდა ყველაფერს ღმერთში, ღმერთთან ერთად და ღმერთისათვის, რათა განედიდებინა ღმერთი; მის ცხოვრებაში იყო ღმერთი, და ის იყო ერთი ღმერთთან; აღდგომაში ის გახდა მაცოცხლებელი სული, რათა შემოსულიყო ჩვენში და გამხდარიყო ჩვენი სიცოცხლე; ჩვენ ვსწავლობთ მისგან (მათე 11:29) თანახმად მისი მაგალითისა, მაგრამ არა ჩვენი ბუნებრივი სიცოცხლით, არამედ მისით როგორც ჩვენი სიცოცხლით აღდგომაში (კოლ 3:4; 1 პეტ. 2:21).
 - 2. უფალი იესო არასოდეს არაფერს არ აკეთებდა თავისგან (იოანე 5:19), მას არ ჰქონდა თავისი საკუთარი საქმე (4:34; 17:4), ის არ ლაპარაკობდა თავის საკუთარ სიტყვებს (14:10, 24), ის არ ასრულებდა საკუთარ ნებას (5:30), და ის არ ეძებდა საკუთარ დიდებას (7:18).
 - 3. ვისწავლოთ ქრისტე – ნიშნავს უბრალოდ ვიყოთ მოთავსებული „ფორმაში“, რომელიც არის ქრისტეს ნიშუში, ანუ ვიყოთ დამსგავსებულნი მის სახეებასთან; ის თვითონ როგორც ჩვენში მყოფი სული, სიცოცხლის სულის კანონი, თავისი სიცოცხლის მთელი სიმდიდრით წარმოქმნის თავის თავს ჩვენში – რომ. 8:2, 28-29.
- ე. ესაიას 43:7-ში ნათქვამია: „ყოველი, ჩემი სახელით წოდებული, ჩემი დიდებისთვის გავაჩინე; ყოველი, ვინც შეექმენი და გამოვსახე“; უმაღლესი

მსახურება, რომელიც ჩვენ შეგვიძლია აღმოვუჩინოთ ღმერთს, – არის გამოვხატოთ მისი დიდება – 2 კორ. 3:18; რომ. 9:23.

- ვ. 1 კორ. 6:20-ში ნათქვამია: „თქვენ ნაყიდი ხართ საფასურად. ასე რომ განადიდეთ ღმერთი თქვენს სხეულში“; ამისათვის საჭიროა ნება მივცეთ ღმერთს, რომელიც მკვიდრობს ჩვენში (1 იოანე 4:13), დაიკავოს და გაუღინთოს ჩვენი სხეული და გამოხატოს თავისი თავი ჩვენი სხეულის როგორც თავისი ტაძრის მეშვეობით (1 კორ. 6:19); 1 კორ. 10:31-ში ნათქვამია: „ჭამოთ თუ სვამოთ, ან რაიმე სხვას აკეთებთ – ყველაფერი გააკეთეთ ღმერთის დიდებისათვის“.

IV. ჩვენ შეგვიძლია ვჭამოთ ის, სათანადო ადამიანებთან შეხებისას – ლევ. 11:1-3, 9, 13, 21:

- ა. ვჭამოთ – ნიშნავს შევეხოთ რაიმე ნივთს, რომელიც არის ჩვენ გარეთ, და მივიღოთ ის ჩვენში, ისე რომ შედეგად ისინი გახდებიან ჩვენი შინაგანი შემადგენლობა; ლევიანთა მე-11 თავში ყველა ცხოველი აღნიშნავს სხვადასხვა სახის ადამიანებს, ხოლო ცხოველების გამოყენება საკვებში აღნიშნავს ჩვენს კონტაქტებს ადამიანებთან (საქმე. 10:9ბ-14, 27-29); რათა ღმერთის ხალხმა ვიცხოვროთ წმიდა სიცოცხლით, როგორც ამას მოითხოვს წმიდა ღმერთი, ღმერთის ადამიანებმა უნდა გამოავლინონ სიფრთხილე იმ საკითხში, თუ როგორ ადამიანებს ეხებიან ისინი (ლევ. 11:46-47; 1 კორ. 15:33; 2 კორ. 6:14-18; 2 ტიმ. 2:22)
- ბ. ყველა პირუტყვი, რომლებსაც ჩლიქი ღრმა ჭრილით აქვთ გაყოფილი და საცოხნს ამოიცოხნიან (ლევ. 11:3; შდრ. 4-8, 26-28). აღნიშნავს ადამიანებს, რომლებიც არიან გამჭოლები თავიანთ ქმედებებში (ფილიპ. 1:9-10) და რომლებიც ღმებულობენ ღმერთის სიტყვას, და ისევ და ისევ ფიქრობენ მასზე (ფსალ. 119:15).
- გ. ცხოველები რომლებიც მკვიდრობენ წყალში და ფარფლი და ქერეჭი აქვთ აღნიშნავენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ თავისუფლად მოძრაობა და მოქმედება ქვეყნიერებაში და იმავდროულად არ ემორჩილებიან ზემოქმედებას (ფარფლი ეხმარება თევზებს მოძრაობაში, მოქმედებაში, წყალში თანახმად მათი სურვილისა, ხოლო ქერეჭი იცავს მათ და ინახავს თევზებს, რომლებიც ცხოვრობენ ზღვაში, დამარილებისაგან) – ლევ. 11:9.
- დ. ფრინველები, რომლებსაც აქვთ ფრთები, რათა იფრინონ, და რომლებიც ჭამენ სიცოცხლის თესლს როგორც თავიანთ შეწევნას საკვებით, აღნიშნვენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ იცხოვრონ და იმოძრაონ სიცოცხლეში, რომელიც მოშორებულია ქვეყნიერებისაგან და არის ქვეყნიერებაზე მაღლა, და ღმებულობენ როგორც სასიცოცხლო შეწევნას იმას, რაც შეიცავს სიცოცხლეს – მუხ. 13.
- ე. მწერები, რომლებსაც აქვთ ფრთები და რომლებსაც აქვთ მუხლიანი წვივები, რათა იხტუნაონ მათი მეშვეობით მიწაზე, აღნიშნვენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ იცხოვრონ და იმოძრაონ სიცოცხლეში, რომელიც ქვეყნიერებაზე მაღლაა და შეუძლიათ შეინახონ თავიანთი თავი ქვეყნიერებისაგან – მუხ. 21-22.

- V. ჩვენ შეგვიძლია ვჭამოთ ის, ვილხინოთ მისით კრებებზე ერთობის ნიადაგზე:
- ა. ისრაელის შვილებს შეეძლოთ დამტკბარიყვნენ კეთილი მიწის ნაყოფებით ორი გზით: ჩვეულებრივი, პირადი გზა, იყო ის, რომ დამტკბარიყვნენ მისით როგორც საერთო ხვედრით ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ ადამიანთან ერთად (რჯლ. 12:15); განსაკუთრებული, ერთობლივი გზა იყოს ის, რომ დამტკბარიყვნენ საუკეთესო ხვედრით, პირველ ნაყოფებით და პირუტყვის პირმშოებით უნიკალურ ადგილას, რომელიც ამოირჩია ღმერთმა (მუს. 5-7, 17-18).
 - ბ. მსგავსად ამისა ახალი აღთქმის მორწმუნეების ტკობას ქრისტეთი აქვს ორი ასპექტი: ჩვეულებრივი, პირადი ასპექტი არის ის, რომ დავტკბეთ ქრისტეთი ყოველთვის და ყველგან, ხოლო განსაკუთრებული, ერთობლივი ასპექტი არის ის, რომ დავტკბეთ ქრისტეს საუკეთესო ხვედრით სათანადო ეკლესიური ცხოვრების კრებებზე ერთობის უნიკალურ ნიადაგზე, ანუ იმ ადგილას, რომელიც ამორჩეულია ღმერთის მიერ.
- VI. ღმერთის განზრახვა ადამიანთან დაკავშირებით არის ის, რომ მისცეს ადამიანს თავისი თავი როგორც სიცოცხლის ხე მისი ტკობისათვის; დავინახოთ, ის რომ ღმერთს უნდა, რომ ჩვენ დავტკბეთ მისით, და რომ მას არ უნდა, რომ ჩვენ გავაკეთოთ რაღაც მისთვის, – ნიშნავს დავინახოთ, რომ ქრისტიანული ცხოვრება დაკავშირებულია ქრისტეთი როგორც სიცოცხლის ხით ტკობასთან; თუ ჩვენი წარმოდგენა შეიცვლება, ისე რომ ჩვენ დავინახავთ ამ ორ მომენტს, ჩვენთვის ადვილი იქნება, ვიცხოვროთ ღმერთით ტკობის სიცოცხლით.